ბრძანება:**ბ132. 1322302514**
თარიღი:**25/01/2023**

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 1 სექტემბრის #ბ132.132222449 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგების შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის N19 დადგენილებით დამტკიცებული „დუშეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესის“ მე-16 მუხლის თანახმად გამარჯვებული პროექტების შესახებ სარეკომენდაციო გადაწყვეტილებას იღებს და მერს წარუდგენს, საკონკურსო კომისია. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობის სულ მცირე ნახევარი განაწილდება სარეიტინგო სიაში საუკეთესო შედეგების მქონე ქალ განმცხადებლებზე, მე-5 პუნქტის თანახმად კი გამარჯვებული პროექტის ავტორ ფიზიკურ პირს, გამარჯვებულად გამოცხადების მომენტიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არანაკლებ 10 კალენდარულ დღეში, წარმოეშობა ინდივიდუალურ მეწარმედ ან იურიდიულ პირად დარეგისტრირების ვალდებულება. დასახელებული წესის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული ბიზნეს გეგმების ჩამონათვალი პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის საკონკურსო კომისიამ, შეფასების შედეგების გათვალისწინებით, წარუდგინა მერს გამარჯვებული პროექტები და სარეკომენდაციო წინადადება მათი სრულად დაფინანსების თაობაზე (ოქმი N2, 12/12/2022).

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 1 სექტემბრის #ბ132.132222449 ბრძანებით გამოცხადებულ ბიზნეს იდეების კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდეს შემდეგი ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი პროექტები:

ა) თამარ ჩიტაური;

ბ) დიანა ნარიმანიძე;

გ) დარეჯან თედორაძე;

დ) ნინო ბარნაბიშვილი;

ე) ირინა ჭინჭარაული;

ვ) თეა სალბიშვილი;

ზ) მაია ირემაშვილი;

2. გამარჯვებულმა ბენეფიციარებმა უზრუნველყონ ინდივიდუალურ მეწარმედ ან იურიდიულ პირად დარეგისტრირება ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში;

3. გამარჯვებული პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, მათ შორის პროექტის დაფინანსებისთვის გადაცემული თანხის სრული ათვისების ვადა, ხელშეკრულების დარღვევისათვის ბენეფიციარის პასუხისმგებლობის ზომა და სხვა პირობები განისაზღვროს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის N19 დადგენილებით დამტკიცებული „დუშეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესის“ შესაბამისად ბენეფიციართან დადებული ხელშეკრულებით;

4. ინფორმაცია გამარჯვებული პროექტების თაობაზე პროაქტიულად გამოქვეყნდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე;

5. ბრძანება გაეცნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის საკოორდინაციო სამდივნოს (სამდივნოს თავმჯდომარე ვ. წიკლაური) და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე;

6. ბრძანება შესაძლოა გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17;

მანანა ნარიმანიძე

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი